# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

## კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საალრიცხვო ბარათი
## N 24504



**1. სახელწოდება**

| |
|---|
| ბუჯის ციხის კომპლექსი |

**2. ადგილმდებარეობა / მისამართი**

| | |
|---|---|
| 2.1 ზუსტი მისამართი | |
| ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი) | საქართველო; იმერეთი; ზესტაფონი; ქვედა საზანო |
| ქალაქის რაიონი | |
| ქუჩა (ქუჩები) | |
| 2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა | |
| ისტორიული მხარე | |
| გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება | |
| ისტორიული დასახლების სახელწოდება | |

| | |
|---|---|
| მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან | |

3. სახეობა

| | |
|---|---|
| არქიტექტურის | + |
| არქეოლოგიური | + |
| საინჟინრო | |
| მემორიალური | |
| ქალაქთმშენებლობის (ურბანული) | |
| საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის | |
| მონუმენტური სახვითი ხელოვნების | |
| პალეოგრაფიული | |
| ეთნოგრაფიული | |
| სახვითი ხელოვნების | |
| მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი | |

4. სტატუსი და კატეგორია

| | | |
|---|---|---|
| სტატუსი | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი |
| სტატუსის მინიჭების თარიღი | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | 12/03/2019 |
| სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| დოკუმენტის # | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | 02/15 |
| კატეგორია | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე |
| კატეგორიის მინიჭების თარიღი | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| დოკუმენტის # | თავდაპირველი | |

| | | |
|---|---|---|
| დოკუმენტის # | ამჟამინდელი | |
| რეესტრის # | 7630 | |
| რეესტრში შეტანის თარიღი | 14/03/2019 | |

**5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)**

| |
|---|
| შუა საუკუნეები _ მე-4 – მე-18 სს;, |

**6. ფუნქცია**

| დასახელება | თავდაპირველი | ამჟამინდელი |
|---|---|---|
| რელიგიური | რელიგიური, რიტუალური>>საეკლესიო ნაგებობა>>უგუმბათო ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპები>>დარბაზული ეკლესია; | რელიგიური, რიტუალური>>საეკლესიო ნაგებობა>>უგუმბათო ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპები>>დარბაზული ეკლესია; |
| სათავდაცვო | სათავდაცვო >>გალავანი; სათავდაცვო >>ციხე; | |
| საერო | სასოფლო-სამეურნეო; | |

**7. საკუთრება (მესაკუთრე/ მესაკუთრეები)**

| | |
|---|---|
| იურიდიული პირი | |
| ფიზიკური პირი | |
| სხვა | |

**8. ძეგლის მოკლე დახასიათება**

ქვედა საზანოს ბუჯის ციხის კომპლექსი მდებარეობს მდინარე ბუჯისა და მდ. მაზარულას ხერთვისში. იგი აგებულია კლდოვანი მთის თხემზე. კომპლექსში გამოიყოფა: ძველი ეკლესია და გალავან შემოზღუდული სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები. თავდაპირველი ნაგებობა ეკლესიაა. იგი დაშენებულია დაახლოებით 2,5 მ. პოსტამენტზე. ორნავიანი ეკლესია აგებულია კარგად გათლილი საფასადე ქვებით. ინტერიერში შეიმჩნევა შელესილობის კვალი. სამხრეთის ნავი ცენტრალური ნაწილისაგან გამოყოფილია ორი კარგად დამუშავებული ექსვსკუთხა სვეტით. კაპიტელს სვეტთან შეერთების არეში შემოუყვება გრეხილი ორნამენტი. ეკლესიას აქვს სამი კარები. ორი კარი (ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან) მთავარ სივრცეში  და ერთიც (დასავლეთიდან)  სამხრეთის ნავში შესასვლელი. საკურთხევლის აღმოსავლეთ კედელში: გაჭრილია ერთი სარკმელი და ამოღებულია ორი მაღალი ნიშა. თითო–თითო სარკმელი გაჭრილია სამხრეთის მინაშენში. ჩრდილოეთის ფასადზე კარის თავზე დატანებულია ორნამენტირებული მცირე ზომის მრგვალი სარკმელი. ეკლესიის ცენტრალური ნავის თაღი ჩამონგრეულია. ინტერიერში იატაკი თითქმის 0,5 მეტრამდე ქვა–ღორღითაა დაფარული. ეკლესიის ზედა ნაწილს ეტყობა გადაკეთების კვალი, რომელიც სავარაუდოდ გვიანიშუასაუკუნეების უნდა იყოს. ზედაპირული დაზვერვების შედეგად, კომპლექსის ტერიტორიაზე თავდაპირველად კარგად დამუშავებული საფასადე ქვებით ნაგები ორნავიანი ეკლესია უნდა მდგარიყო, რომელიც შესაძლოა ხეობის კონტროლის ფუნქციასაც ითავსებდა. კომპლექსის მშენებლობის მომდევნო ეტაპი გვიანშუასაკუნეებისა უნდა იყოს. ამ პერიოდში ეკლესია თავისი პოსტამენტით წარმოადგენს ზღუდე–გალავანის შემადგენელ ნაწილს. სწორედ გვიანშუასაუკუნეებში უნდა მომხდარიყო მასზე სართულის დამატება. ვფიქრობთ, რომ ეკლესიაზე დამატებული ფლეთილი ქვით ნაგები კედლის ნაშთი კოშკურა ნაგებობის უნდა ყოფილიყო. გვიანშუასაუკუნეების გალავანი აგებულია ფლეთილი ქვით. და მისი სიგანე 1.5 მეტრამდეა. გალავანში მოქცეულია რამოდენიმე სათავსო. ციხის შიდა ეზო თითქმის  მთლიანად დაფარულია ჩამოქცეული კედლებით. ეზოს ცენტრალურ ნაწილში ფიქსირდება სასმელი წყლის არსებობა. იგი გადაფარულია ჩამონგრეული კედლებით.

## 9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

### 9.1 ზოგადი შეფასება

ცუდი

### 9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

ჩამონგრეულია ეკელისიის ცენტრალური ნაწილის თაღი. დანგრეული და გადაყირავებულია გალავნის კედლები. ჩამოყრილია ეკელსიის საფასადე ქვები.  შეინიშნება თვითნებური გაწმენდის კვალი. კერძოდ სამხრეთის ნავის საკურთხეველი ამოთხრილია, სადაც კულტურულ ფენასტან ერთად იკითხება ქვტკირის კედლის სუბსტრუქციის კვალი.

### 9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

| | |
|---|---|
| ბუნებრივი | |
| ადამიანის ზემოქმედება | |
| სხვა კონკრეტული მიზეზი | |

### 9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები:

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

| | |
|---|---|
| პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი | / 1 |
| უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა | |
| უახლესი და საარქივო ფოტოები | |
| ბიბლიოგრაფია | |
| საარქივო წყაროები | |

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

| | |
|---|---|
| დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები | |
| ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები | |
| სხვა დოკუმენტები | |

12. დამატებითი ინფორმაცია

X კოორდინატი: 342094.148997164; Y კოორდინატი: 4672356.30912882;

13. ბარათის შემდგენელი

როლანდ ისაკაძე, შალვა ბუაძე

14. ბარათის შედგენის თარიღი

2018-05-31